

# რადიკალიზაციასა და ქაღალდობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მექანიზმების გაუმჯობესება საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტი



პროექტის ხელმძღვანელი: ლევან დოლიძე

კვლევის ხელმძღვანელი: გიორგი გოგუაძე

კვლევის ასისტენტები: გიორგი გობრონიძე, გიორგი მოდებაძე

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც მომზადდა საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში, „ლია საზოგადოების ფონდი“-ს ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის პოზიციას.

© საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი (GCS D)

[www.gcsd.org.ge](http://www.gcsd.org.ge)

# სარჩევი

შესავალი .....	2
კვლევის წინაპირობა .....	3
კვლევის მეთოდოლოგია .....	5
თავი 1. ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების აღწერა.....	7
თავი 2. კვლევის მიგნებები თითოეული რეგიონის მიხედვით.....	11
2.1 კახეთის რეგიონი - პანკისის ხეობა.....	11
2.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ბათუმისა და ხულოს მუნიციპალიტეტები) .....	12
2.3 ქვემო ქართლი (გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები).....	13
თავი 3. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საერთაშორისო გამოცდილება .....	15
3.1 გაერთიანებული სამეფო .....	17
3.2 ნიდერლანდების სამეფო .....	18
3.3 გერმანია .....	21
3.4 დანია .....	22
3.5 ამერიკის შეერთებული შტატები.....	24
3.6 საერთაშორისო ორგანიზაციები - ევროკავშირისა და ეუთოს გამოცდილება .....	26
დასკვნა .....	28
რეკომენდაციები და სახელმწიფო სტრატეგიის მონახაზი.....	29
გამოყენებული ლიტერატურა.....	35

# შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზს. კვლევამ მოიცვა შემდეგი რეგიონები: კახეთი, ქვემო ქართლი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ასევე, თბილისი. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ და გავანალიზეთ რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის გამომწვევ ფაქტორებთან გამკლავების საერთაშორისო პრაქტიკაც.

საკვლევი საკითხის ლიმიტებიდან გამომდინარე, დოკუმენტი განიხილავს უცხო სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობას და არ ეხება რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სხვა გამოვლინებებს, მათ შორის მემარჯვენე, ულტრა-ნაციონალისტური ჯგუფების აქტივობებს.

კვლევის ძირითადი მიზანია რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის შესწავლა, ანალიზი, პოტენციური საფრთხეების პროგნოზირება და შესაბამისი სამთავრობო სტრატეგიის შემუშავების მხარდაჭერა. შესაბამისად, კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე:

- რა მდგომარეობაა დღეს ქვეყანაში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის მხრივ?
- ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ხელშემწყობი რა ფაქტორები არსებობს და რამდენად მოწყვლადნი არიან საქართველოში არსებული ცალკეული ჯგუფები ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საფრთხეების მიმართ?

ანგარიშში შესწავლილი და გაანალიზებულია ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება და წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებებისათვის ეფექტური სტრატეგიის შესამუშავებლად. რეკომენდაციებთან ერთად, ასევე, წარმოდგენილია სტრატეგიის საილუსტრაციო მონახაზი, რომელიც შეიძლება გახდეს ერთგვარი გზამკვლევი საქართველოს ხელისუფლებისათვის ამ მიმართულებით პოლიტიკის დასაგეგმად და განხორციელებლად.

## კვლევის წინაპირობა

საქართველო მულტიკულტურული, მრავალეთნიკური სახელმწიფოა, რომელიც დემოკრატიული გარდაქმნის მნიშვნელოვან გზაზეა. საქართველოს მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 13,2% ეთნიკურ უმცირესობებს განეკუთვნება.<sup>1</sup> ქვეყანაში მრავალფეროვნად არიან წარმოდგენილი რელიგიური უმცირესობებიც, რომლებიც მოსახლეობის 14,9%-ს შეადგენენ.<sup>2</sup> საქართველოს მოსახლეობის 10,7%, მუსლიმური რელიგიის აღმსარებელია.<sup>3</sup>

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სრულფასოვანი ჩართვა გვევლინება. სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რაც დროთა განმავლობაში ვლინდება საქართველოში მცხოვრები განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ, აფერხებს მათ სრულყოფილ ინტეგრაციას.

მოცემულმა პრობლემამ ცალკეული რეგიონების შემთხვევაში ახლებურად იჩინა თავი 2014 წლის შემდგომ. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის არაბულ ქვეყნებში 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ შექმნილმა უსაფრთხოების ვაკუუმმა და შედეგად აღმოცენებულმა ახალმა საფრთხეებმა გვერდი არც საქართველოს აუარა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, 2013-2016 წლებში საქართველოს 100-მდე მოქალაქე და საქართველოსთან დაკავშირებული რამდენიმე ათეული პიროვნება აღმოჩნდა ჩართული სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების, „ალ-ქაიდასა“ და ე.წ „ისლამური სახელმწიფოს,“ ასევე, მათთან დაკავშირებული ცალკეული დაჯგუფებების საქმიანობაში.<sup>4</sup> ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა მოცემულ ორგანიზაციებში წამყვანი პოზიციების დაკავება, რითაც საქართველო არაერთხელ მოხვდა საერთაშორისო მედიისა და სხვადასხვა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. გარდა აღნიშნულისა, უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე 2015 წლამდე ფიქსირდებოდა „ისლამური სახელმწიფოს“ ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა გადაბირებისა და ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვის მცდელობები. პროცესის ნაწილობრივი აღკვეთა შესაძლებელი გახდა 2015 წელს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, რა დროსაც დააკავეს „ისლამურ სახელმწიფოსთან“

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (თბილისი, 2016), 8.

[http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/population/Census%20Release\\_GEO\\_2016.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf) (მოძიებული მარტი 1, 2018).

2. იქვე, 9.

3. იხ. წინა კომენტარი.

4. U.S. Department of State, Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism, Country Reports on Terrorism 2016, Chapter 2. Country Reports: Europe (Washington, D.C., 2017),

<https://www.state.gov/j/ct/rls/crt/2016/272231.htm>.

დაკავშირებული პირები, რომელთაც სასამართლომ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.<sup>5</sup>

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უახლეს ანგარიშის მიხედვით, 2018 წლისთვის სირიასა და ერაყში, ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში, საქართველოს 30-მდე მოქალაქე იმყოფება.<sup>6</sup> თუ შედარებისთვის ავიღებთ ერთ სულ მოსახლეზე სირიასა და ერაყში საბრძოლველად წასული მოქალაქეების რაოდენობას, საქართველოდან წასული მოქალაქეების რაოდენობა (2013-2018 წწ.) უტოლდება და, ზოგ შემთხვევაში, აღემატება კიდევ ევროპული ქვეყნებიდან წასული მებრძოლების რიცხვს (მაგალითად, 2015 წლის მონაცემებით, ნიდერლანდების სამეფოდან წასული მებრძოლთა რიცხვი არ აღემატებოდა 250-ს, ბელგიიდან - 500-ს, გერმანიიდან - 600-ს და დიდი ბრიტანეთიდან - 750-ს).<sup>7</sup>

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოს სახელმწიფო ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ასახელებს. ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის, ისე ტერორიზმის შესახებ კანონმდებლობის გამკაცრებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ამ მხრივ კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რასაც ადასტურებს გასული წლის ნოემბერში საქართველოში საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფის წევრების, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი დაჯგუფების ხელმძღვანელის, ახმედ ჩატაევის შემოსვლის ფაქტი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მტკიცებით, ტერორისტული ორგანიზაციის წევრებს საქართველოში შემოსვლაში საქართველოს მოქალაქეები დაეხმარნენ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ახორციელებდნენ მათ მხარდაჭერას სხვადასხვა მიმართულებით.<sup>8</sup>

ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, სახელმწიფო უწყებების ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის დაბალი ხარისხი დღეისათვის კვლავაც დიდ გამოწვევად რჩება. საკითხისზე მუშაობს და პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც რადიკალიზაციას და ძალადობრივ ექსტრემიზმს, უმეტესწილად, ძალისმიერი მეთოდებით უმკლავდება. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, მსგავსი პოლიტიკა გრძელვადიან პერსპექტივაში, და განსაკუთრებით, პრევენციის მიმართულებით, ნაკლებად შედეგიანია.

---

5. მიშა მეფარიშვილი, „ბორჩაშვილი და სამი პირი ტერორიზმში მონაწილეობის გამო სასამართლომ დამნაშავედ მიიჩნია.“ ნეტგაზეთი, მარტი 7, 2016, მოძიებული იანვარი 24, 2018, <http://netgazeti.ge/news/99509/>.

6. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიში (თბილისი, 2018), 14.

7. International Centre for the Study of Radicalization and Political Violence (London, 2015), quoted in Radio Free Europe, Radio Liberty, <https://www.rferl.org/a/foreign-fighters-syria-iraq-is-isis-isil-infographic/26584940.html>.

8. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, იანვარი 4, 2018, მოძიებული იანვარი 24, 2018, <http://ssg.gov.ge/news/306/saxelmtsifo-usaftrxoebis-samsaxuris-gancxadeba>.



## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითი პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი წარმოადგენდა სამაგიდო კვლევას, რაც გულისხმობს მეორადი მონაცემების მოძიებასა და დამუშავებას კვლევის თეორიული ნაწილის მომზადებისა და სიტუაციური ანალიზის განხორციელების მიზნით. დამუშავდა როგორც ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრობლემების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ისე საქართველოსა და ევროპის წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობა და უსაფრთხოების სტრატეგიული დოკუმენტები. მკვლევარებმა შეისწავლეს საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე, გააანალიზეს რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებზე დაყრდნობითაც მომზადდა გზამკვლევი კვლევის მეორე, სავლე ეტაპისთვის.

სავლე სამუშაოები, მოიცავდა როგორც დისკუსიებს მიზნობრივ ჯგუფებთან, ისე პირისპირ ინტერვიუებს. მიზნობრივი ჯგუფები დაკომპლექტდა 18-დან 65 წლამდე ასაკის, სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებით. ჯგუფების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასულიერო სასწავლებლებზე, რელიგიურ ლიდერებზე, ასევე, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორისა და მედიის, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებზე, ინტერვიუების შერჩევასა კი ძირითადი აქცენტი გაკეთდა საქართველოში უმცირესობების უფლებების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციებზე, თეოლოგიის, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკის ექსპერტებზე, ადგილობრივ ლიდერებზე.

ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ საუბრის დაწყებისას, პირველ რიგში, აუცილებელია ტერმინთა განმარტება. აკადემიურ წრეებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში არ არის გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემიზმის ერთიანი, უნივერსალური განსაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმის ზუსტ განმარტებას ვერც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გვთავაზობს, რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიხედვით მაინც შეიძლება იმის გააზრება, თუ რას გულისხმობს გაერო ამ ტერმინებში. წინამდებარე ნაშრომში სწორედ გაეროს მიერ შემოთავაზებული დეფინიციები გამოიყენება.

2015 წლით დათარიღებულ „ძალადობრივი ექსტრემიზმის სამოქმედო გეგმაში“ აღნიშნულია, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ორგანიზაციის პრინციპებისა და მიზნებისათვის, ის აფერხებს მსოფლიოში მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებებსა და მდგრად განვითარებას.<sup>9</sup> ამასთან, იქვე მითითებულია, რომ

---

9. გაეროს გენერალური ასამბლეა, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სამოქმედო გეგმა (გენერალური მდივნის ანგარიში) (2015), 1, <http://www.un.org/en/ga/search/view-doc.asp?symbol=A/70/674> (მომიებული მარტი 3, 2018).

აღნიშნული ფენომენი არაა ახალი, არც ერთი კონკრეტული რეგიონის, კულტურის ან სისტემის მახასიათებელი ნიშანი. უკანასკნელ წლებში ძალადობრივ ექსტრემიზმსა და მასთან გამკლავების გზებზე შეხედულება გააჩინა ტერორისტულმა ჯგუფებმა - „ისლამურმა სახელმწიფომ“, „ალ-ქაიდამ“ და „ბოკო ჰარამმა.“ მათგან მომავალი რელიგიური, კულტურული და სოციალური მიმართულების გზავნილები კვებავს რადიკალურ იდეებს და იწვევს ძალადობრივ ქმედებებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2178 (2014) იმავე წარმოდგენას ქმნის ძალადობრივი ექსტრემიზმის თაობაზე და მიუთითებს, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია, უპირატესად, იწვევს ინდივიდთა ტერორიზმისკენ სწრაფვას.<sup>10</sup>

---

10. გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2178 (2014), <http://www.un.org/en/ga/search/view-doc.asp?symbol=S/RES/2178%20%282014%29> (მოდიებული მარტი 3, 2018).



## თავი 1: ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ხელშეწყობი ფაქტორების აღწერა

აკადემიურ სფეროში ტერორიზმის საკითხებზე მომუშავე მკვლევრები ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის გამომწვევ ფაქტორებს სხვადასხვაგვარად ახარისხებენ. ერთ-ერთი დომინანტური მიდგომის მიხედვით, რომლის ავტორიცაა გამორჩეული შვედი მეცნიერი, ინდივიდთა რადიკალიზაციისა და ტერორისტულ დაჯგუფებებში გაწევრიანების მკვლევარი, მაგნუს რანსტორპი, ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის გამომწვევი ფაქტორები 9 ჯგუფად იყოფა:<sup>11</sup>

ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელიც მოიცავს ისეთ ფსიქო-ემოციურ კომპონენტებს, როგორცაა განაწყენება და გაუცხოება, გაბრაზება და ფრუსტრაცია, დაუცველობისა და უსამართლობის ძლიერი განცდა, გამოკვეთილი ორმაგი სტანდარტები, ვითარების არასწორი ინტერპრეტაციის ტენდენციები, შეთქმულების თეორიები და სხვა;

საქართველოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გამართული ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების პროცესში, ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორების განხილვისას, ხაზი გაესვა იმას, რომ საზოგადოების მოწყვლად ნაწილში არსებობს განაწყენების, გაუცხოების, დაუცველობისა და უსამართლობის განცდა. რესპონდენტთა აზრით, ზემოხსენებული მეტწილად დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორცაა რელიგიური უმცირესობებისთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობის პროცესში ბარიერების შექმნა, რიგ საკითხებში დისკრიმინაციული მიდგომების არსებობა, საინფორმაციო სივრცეში ნეგატიური ველის შექმნა, ხელისუფლების მხრიდან მათი აზრის იგნორირება და ენობრივი ბარიერის არსებობა.

სოციალური ფაქტორები გულისხმობს სოციალურ გარიყულობას, მარგინალიზაციასა და დისკრიმინაციას (როგორც არსებულს, ისე აღქმულს), შეზღუდულ სოციალურ მობილობას, დაბალ ხელმისაწვდომობას განათლებაზე, უმუშევრობას, მიგრაციულ ფაქტორებს, კრიმინალსა და სოციალური კონსოლიდაციის დაბალ ხარისხს;

აღსანიშნავია, რომ ყველა რეგიონში საუბრობდნენ რადიკალიზაციის გამომწვევი სოციალური ფაქტორების არსებობაზე. ხაზი გაესვა მარგინალიზაციის პრობლემას, ერთგვარ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

11. Magnus Ranstorp, The Root Causes of Violent Extremism (Amsterdam: Radicalisation Awareness Network, 2016).

გარდა ამისა, მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა უმუშევრობა, სიღარიბე, განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესებიდან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გარიყვა.

პოლიტიკური ფაქტორები, ერთგვარი დაყოფა „ჩვენთანებად“ და „მტრებად.“ ამგვარი ხედვა, არც თუ იშვიათად, წარმოადგენს კრიტიკული მასის მობილიზაციის დამატებით მამოძრავებელ ძალას;

პოლიტიკური ფაქტორების სიმწვავე განსაკუთრებით გამოჩნდა პანკისის ხეობაში, სადაც 2017 წლის დეკემბერში განხორციელებულმა სპეცოპერაციამ წინ წამოწია პოლიტიკური ფაქტორების გავლენა.

იდეოლოგიური/რელიგიური ფაქტორები ძირითადად განმტკიცებულია ამა თუ იმ რელიგიის განსაკუთრებული მისიისა და როლის რწმენით. დამახინჯებული ინტერპრეტაციით ფუნდამენტალისტი სასულიერო ლიდერები აჩენენ განცდას, რომ მათი რელიგია ალყაშია და საჭიროებს დაცვას. რელიგიური დოგმების ამგვარი ინტერპრეტაცია ხელს უწყობს დასავლური, „უზნეო სეკულარიზმის“ შესახებ მოსაზრებების განმტკიცებასა და მის მიმართ სიძულვილის გაჩენას;

რეგიონებში დისკუსიების მონაწილეები საქართველოს მოქალაქეთა ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული საქმიანობის მიზნით გადინების უმთავრეს მიზეზად ერთხმად ასახელებენ იდეოლოგიურ ფაქტორს. აღსანიშნავია, რომ დისკუსიების მონაწილეთა თქმით, საქართველოდან გასული მოქალაქეების უმრავლესობას არ ამოძრავებდა მატერიალური ინტერესი.

კულტურული და იდენტობის კრიზისი დაკავშირებულია კულტურულ მარგინალიზაციასა და გაუცხოებასთან, რაც აჩენს განცდას, რომ ინდივიდი არ ეკუთვნის მშობლების, ახლობლების სოციუმს, რომ იგი უცხო სხეულია არსებულ საზოგადოებაში. ეს ხელს უწყობს ერთგვარი „საერთო ისლამური სოლიდარობის“ განმტკიცებას;

აღნიშნული ფაქტორი კვლევისას განსაკუთრებით გამოვლინდა ისლამური თემის იმ სოციუმში, სადაც კონკურენცია ისლამის ფუნდამენტალისტურ და ზომიერ მიმართულებებს შორის აშკარა და თვალშისაცემია.

ტრავმა, რევანშიზმი და სხვა მექანიზმები მოიცავს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების, ომების, დაპირისპირების, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დევნისა და ჩაგვრის შედეგად მიღებულ სტრესს, რომელიც ხშირად გადაიზრდება შურისძიებისა და სამართლიანობის აღდგენის წყურვილში;

რადიკალიზაციის აღნიშნული მოტივები, ძირითადად, იკვეთება პანკისის ხეობაში, სადაც საქართველოს მოქალაქეთა სირიაში გამგზავრების ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ბაშარ ალ ასადისა და მისი მოკავშირე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მოსკოვის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე შურისძიების მოტივით. აღნიშნული ფაქტორები საქართველოს სხვა რეგიონებში არ შეინიშნება.

ჯგუფური დინამიკა გულისხმობს საზოგადოებაში ჩაკეტილი ჯგუფების არსებობას, სადაც ძლიერია ახლობლური, ნათესაური, კლანური კავშირები. არსებობს ერთი მხრივ, საზოგადოებიდან მოკვეთის, მეორე მხრივ კი საერთო კოლექტიური იდენტობის განცდა. ასეთ ჯგუფებს, როგორც წესი, ახასიათებს გამოკვეთილი მორალური ავტორიტეტების გავლენით მოქმედება;

ჯგუფური დინამიკა განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონებში, სადაც არსებობს ენობრივი ბარიერი, რაც ავტომატურად იწვევს ადგილობრივი თემის ჩაკეტვასა და იზოლირებას დანარჩენი საზოგადოებისგან, ასევე, იმ რეგიონებში, სადაც რელიგიური უმცირესობები კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი და ნაკლებად აქვთ კონტაქტი საზოგადოებასთან (არამუსლიმებთან).

რადიკალიზატორების ჯგუფში, როგორც წესი, მოიაზრებიან მორალური ავტორიტეტები, რელიგიური ლიდერები, მქადაგებლები, რომლებიც იყენებენ საზოგადოების ცალკეული, მოწყვლადი წევრების სისუსტეებს, წუხილებს და მათზე მანიპულირებით, დარწმუნების ან ზეწოლის მეშვეობით ახდენენ ექსტრემისტული წრეების გაფართოებას. სწორედ მოცემული მექანიზმი წარმოადგენს მოწყვლადი პირების რადიკალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს;

რეგიონებში დისკუსიების მონაწილეები ნაკლებად საუბრობდნენ ადგილზე ექსტრემისტული შეხედულების მქონე ლიდერებისა და ავტორიტეტების არსებობაზე, თუმცა, წინა წლებში გადაბირების ბრალდებით დაკავებული რამდენიმე პირის საქმეც კი საკმარისია, რომ გვეჩვენოს ნათელი წარმოდგენა ერთგვარი „გავლენის აგენტების“ შესახებ. გარდა ამისა, რადიკალიზატორებად გვევლინებოდნენ სირიასა და ერაყში მეზობელი გავლენიანი და მაღალი საომარი თანამდებობის მქონე საქართველოს მოქალაქეები.

სოციალური მედია მძლავრი ინსტრუმენტია სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში გაფანტული ექსტრემისტული წრეების დასაკავშირებლად. ის წარმოადგენს აზრთა გაცვლის, ღირებულებებისა და იდეალების ექსპორტისა და იმპორტის მძლავრ პლატფორმას, ასევე, უზრუნველყოფს იდეათა გაცვლის პროცესში საზოგადოების ფართო მასის ჩართულობას და მნიშვნელოვნად ზრდის ექსტრემისტული იდეების გამტარებელი ჯგუფებისა და ლიდერების

აუდიტორიას. ამის მეშვეობით, არა მხოლოდ ჩქარდება რადიკალიზაციის პროცესი, არამედ ძლიერდება თვით რადიკალიზაციის ხელშემწყობი სხვა ფაქტორებიც;

ყველა რეგიონში, დისკუსიის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ახალგაზრდები სოციალური ქსელების მეშვეობით ექცევიან რადიკალური და ექსტრემისტული შეხედულებების გავლენის ქვეშ, რაც მიუთითებს რადიკალიზაციის ხელშემწყობი ხსენებული ფაქტორის, სოციალური მედიისა და ინტერნეტის მნიშვნელოვან როლზე.

შეჯამებისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში განსაზღვრული რადიკალიზაციის ცხრა დეტერმინანტიდან, მეტ-ნაკლებად, სახეზეა ფაქტორთა ცხრავე ჯგუფი. გამართული დისკუსიების შედეგად, აშკარა გახდა, რომ სამივე სამიზნე რეგიონში განსაკუთრებით მწვავედ დგას ოთხი დეტერმინანტი: ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები, სოციალური ფაქტორები, იდეოლოგიური/რელიგიური ფაქტორები და სოციალური მედია. ამას ემატება მეხუთე ფაქტორის, რადიკალიზატორების არსებობა და სერიოზული გავლენა მოწყვლად ჯგუფებზე. ამის ხმამაღლა თქმის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა ტერორისტულ დაჯგუფებებში რეკრუტირების პროცესზე დაკვირვება და ზემოთ დასახელებული შემთხვევების არსებობა.

საგულისხმოა, რომ კიდევ ორი დეტერმინანტი - კულტურული და იდენტობის კრიზისი და ჯგუფური დინამიკა, ასევე წარმოდგენილია სამიზნე რეგიონებში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხსენებული ფაქტორები განსაკუთრებით გამოვლინდა სპეციფიკური გარემოებების არსებობის დროს, კონკრეტულ რეგიონსა და სოციუმში. ინფორმაცია ამ გარემოებებსა და კონკრეტულ რეგიონებზე ზემოთ უკვე მოცემულია.

რადიკალიზაციის ხელშემწყობი დარჩენილი ორი ფაქტორი, პოლიტიკური ფაქტორები და ტრავმა, რევანშიზმი და სხვა მექანიზმები, როგორც გამართულმა დისკუსიებმა აჩვენა, სამიზნე რეგიონებში ვლინდება, თუმცა ნაკლებად მწვავედ გამოიყურება, ვიდრე ზემოთ მიმოხილული შვიდი დეტერმინანტი.

## თავი 2: კვლევის მიზნები თითოეული რეგიონის მიხედვით

### 2.1 კახეთის რეგიონი - პანკისის ხეობა

მკვლევართა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტები ახმეტის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, პანკისის ხეობაში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მიხედვით პანკისის ხეობის ქისტურ თემში ინტეგრაციის, სოციალური თანასწორობის, რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის პრობლემის შესწავლა, კერძოდ, არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემის სიღრმის დადგენა, ხელშემწყობი მიზეზების განსაზღვრა და ამ მიმართულებით მოსალოდნელი რისკების პროგნოზი.

მიგნებები :

- ხეობაში მაღალია სოციალური დეპრივაციის ხარისხი. რაც შეეხება ეკონომიკურ და მატერიალურ ფაქტორებს, მათი როლიც მნიშვნელოვანია, თუმცა, არა – გადამწყვეტი. ადგილობრივი მოქალაქეების ახლო აღმოსავლეთში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანების ძირითადი მოტივატორი რელიგიურ-იდეოლოგიური სახისაა.
- ბოლო პერიოდში, საქართველოს მოქალაქეთა ახლო აღმოსავლეთში გასვლა იქ არსებულ ტერორისტულ ჯგუფებში გაწევრიანების მიზნით შეჩერებულია არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რეპრესიული ზომებისა და გატარებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გამო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ ორგანიზაციების დასუსტების მიზეზით. ისლამური სახელმწიფოს მიერ პოზიციების დაკარგვამ, მისმა შესუსტებამ საინფორმაციო ველში, ასევე, ქართველი ლიდერების დაღუპვამ ადგილობრივ ახალგაზრდებში სხვადასხვა რადიკალურ ორგანიზაციაში გაწევრიანების დინამიკის შემცირება გამოიწვია;
- ხეობისა და სალავიტური თემის სრული უმრავლესობა ემიჯნება ძალადობრივ ჯიჰადს და გამოხს ტერორიზმს, თუმცა, ადგილობრივი რესპონდენტების თქმით, ხეობაში არსებობს სხვა, შედარებით რადიკალურად განწყობილი ჯგუფი;
- ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სალავიტური თემის



საკუთარ თავს სახელმწიფოსგან დისტანცირებულად აღიქვამენ, რაც მრევლში აჩენს მიტოვებულობის განცდას. თავის მხრივ, ამ ყოველივეს ახლავს ნეგატიური ემოციური და სოციალური ეფექტი;

- ხეობაში არსებულ განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის არსებობს კომუნიკაციისა და ნდობის პრობლემა;
- როგორც ზომიერი, ისე კონსერვატული ჯგუფები ამჟღავნებენ დაბალ ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რადგან არსებული პრობლემების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ სახელმწიფოს მოიაზრებენ;
- სახელმწიფოს პასიურობა, კომუნიკაციის ნაკლებობა, საზოგადოებაში არსებული პრობლემების მიმართ დაბალი მგრძობელობა, დროთა განმავლობაში, შესაძლოა რადიკალიზაციის დამატებით ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს;
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ქისტურ სოფლებთან ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობა, გამოხატავს წუხილს ერთგვარი პოზიტიური დისკრიმინაციის გამო. ადგილობრივი მცხოვრებლების შეფასებით, ყველა მცდელობა ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის მხრიდან პანკისის ხეობის მხარეს არის მიმართული, ეთნიკური ქართველებით დასახლებული პუნქტები კი თითქოს მიტოვებულნი არიან.

## 2.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ბათუმისა და ხულოს მუნიციპალიტეტები)

2017 წლის 26-27 ოქტომბერს განხორციელდა მკვლევართა ჯგუფის ვიზიტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის გამოყენებით რეგიონში რადიკალიზაციის რისკებისა და ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენა-შესწავლა.

მიგნებები:

ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ ეტაპზე, რეგიონში ნაკლებად გვხვდება ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის სერიოზული კერები, თუმცა, არსებობს რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები, რაც აჭარის მუსლიმ თემს ხდის მოწყვლადს ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საფრთხეების მიმართ.



შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მოცემულ ეტაპზე, აჭარის რეგიონში არ გვხვდება რელიგიური რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის მნიშვნელოვანი გამოვლინებები;
- შეიმჩნევა ექსტრემიზმის თვალსაზრისით პოტენციურად საშიში ცალკეული კერების არსებობის ფაქტები, კერძოდ, მუნიციპალური ცენტრისგან მოწყვეტილ სოფლებში.
- ისლამის ზომიერი მიმდინარეობის წარმომადგენელი სასულიერო ელიტის რელიგიური განათლების დონე დაბალია მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდ უმრავლესობას სასულიერო განათლება თურქეთში აქვს მიღებული. მაღალმთიან აჭარაში, სასულიერო პირებს უჭირთ პასუხი გასცენ ისეთ ფუნდამენტურ კითხვებსაც კი თუ ისლამის აღმსარებლობის რომელ სკოლას მიეკუთვნებიან;
- ადგილობრივი თემის ლიდერების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მუსლიმი და ქრისტიანი თემის მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალწლიანი, შესაძლოა ითქვას, საუკუნოვანი ტრადიცია არსებობს, მეტიც, არსებობს მუსლიმურ-ქრისტიანული შერეული ოჯახებიც, რეგიონში იკვეთება ერთგვარი განაწყენება, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედებით, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს შედარებით დაბალი მგრძობელობით მუსლიმი თემის პრობლემების მიმართ;
- როგორც მედიის წარმომადგენლებთან საუბარში გამოიკვეთა, ადგილობრივი მედია შედარებით ნაკლებ დროსა და ყურადღებას უთმობს მუსლიმ თემს, რაც, სამომავლოდ, შესაძლოა, მუსლიმების პროტესტის საფუძველად იქცეს.

## 2.3 ქვემო ქართლი (გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები)

მკვლევართა ჯგუფი 2017 წლის 13 დეკემბერს ქვემო ქართლში იმყოფებოდა, სადაც გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში გამართა ინტერვიუები და დისკუსია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან.

მიგნებები:

- რეგიონის აზერბაიჯანული მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამის შიიტური მიმდინარეობის აღმსარებელია, თუმცა, ბოლო წლებში იკვეთება სუნიტური ჯგუფების გააქტიურების პროცესი, რომელთა უმრავლესობა, მართალია, ზომიერ მიმდინარეობებს მიეკუთვნება, მაგრამ არსებობს ფუნდამენტალისტური ნაწილიც;
- როგორც შიიტური, ისე სუნიტური ისლამის მიმდინარეობების წარმოდგენა რეგიონში დაკავშირებულია გარე აქტორებთან. შიიტური ისლამის შემთხვევაში, მთავარ მიზიდულობის ცენტრს წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკა. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯებისა ისლამური თემის ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით, ადგილობრივ მოსახლეობაში უმაღლეს სასულიერო ლიდერად მიჩნეულია აიათოლა ალ ხამენეი, ირანის ისლამური რესპუბლიკის დღევანდელი ლიდერი, ხოლო სახელმწიფოს პოლიტიკა საქართველოს მუსლიმ თემთან მიმართებით შეფასებულია ნეგატიურად;
- რესპონდენტები ამბობენ, რომ სახელმწიფო ვერ ახერხებს ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზაციის შესაძლებლობის მიცემას, შესაბამისად, განსაკუთრებით მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ადგილობრივი მედრესეები იოლად ავსებენ ამ ვაკუუმს.

## თავი 3: კალაღობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების სავსტრატეგიული გეგმის განხორციელება

სავსტრატეგიული ასპარეზზე ტერორიზმთან ბრძოლის (Counterterrorism) ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის (Countering Violent Extremism, ანუ CVE) სტრატეგიებს. თავად ძალადობრივი ექსტრემიზმის მსგავსად, რთულია აღნიშნული ტერმინის ზუსტი, სხვადასხვა ინტერპრეტაციისგან დაცლილი დეფინიციის გამორჩევა. ზემოთ ნახსენები გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2178 (2014) ხაზს უსვამს, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლა მოიცავს ინდივიდთა რადიკალიზაციის, გადამბრუნების, ტერორისტულ ორგანიზაციებში მობილიზებისა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ტერორისტთა რიგებში ბრძოლის პრევენციას.<sup>12</sup> ტერორისტების მხრიდან მომავალი საფრთხის აღმოსაფხვრელად და სავსტრატეგიული მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლა აუცილებელი წინაპირობაა.

ტერმინის დეფინიციასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტრატეგიების გააზრება საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ, თუ რას ვგულისხმობთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლაში. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს სამთავრობო და სამოქალაქო ინიციატივებსა და პროგრამებს, რომლებიც უმკლავდება ძალადობრივი იდეოლოგიის ხელშემწყობ ფაქტორებს. ამასთან, ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლა მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რაც აძლიერებს საზოგადოების მდგრადობას რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმისადმი.

სავარაუდოა, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგიების განვითარება კონტრტერორისტულ საქმიანობაში განსაკუთრებულ როლს შეინარჩუნებს მანამ, სანამ ძალადობრივ იდეოლოგიას ამოფარებული ექსტრემისტები მსოფლიოს უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენენ. ამაზე მიგვანიშნებს გაეროს უშიშროების საბჭოს ზემოთ ნახსენები რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს, ადგილობრივ საზოგადოებასა და რელიგიურ სამოქალაქო აქტორებთან თანამშრომლობით განავითარონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგიები. გარდა ამისა, რეზოლუცია გაეროს წევრ სახელმწიფოებს ურჩევს გაუმკლავდნენ ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელების ხელშემწყობ ფაქტორებს ახალგაზრდების, ქალების, რელიგიური და კულტურული ლიდერების გაძლიერებით, განათლების სისტემის გაჯანსაღებით, უმცირესობათა ინტეგრაციით, სოციალური ინკლუზიის უზრუნველყოფით და სხვა.<sup>13</sup>

12. გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2178 (2014), 6.

13. იხ. წინა კომენტარი.

სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ ორგანიზაციის მიერ დანერგილი და განხორციელებული პოლიტიკის ანალიზი გვამძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საერთაშორისო პრაქტიკა ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სამ ძირითად - პრევენციის (Prevention), დისტანცირებისა (Disintegration) და დერადიკალიზაციის (Deradicalization) მიდგომას აერთიანებს. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

- პრევენციის პოლიტიკა აერთიანებს სისტემურ პრევენციულ ზომებს ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი ფაქტორების საწყის ეტაპზე აღმოსაფხვრელად და ახალი, უფრო დესტრუქციული ჯგუფების აღმოცენების გამოსარიცხად;<sup>14</sup>
- დისტანცირების პოლიტიკა გულისხმობს ისეთი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც რადიკალიზებული ინდივიდების როლის, ფუნქციის ცვლილებას ახალისებს და იწვევს ძალადობრივი ქმედებებისგან მათ დისტანცირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ, რიგ შემთხვევებში, დისტანცირების პოლიტიკის მიზანი შეიძლება ექსტრემისტების მიერ ძალადობრივი მოძრაობის ერთბაშად დატოვება არ იყოს. ამ მიდგომის შემთხვევაში, მთავარი აქცენტი, პირველ ეტაპზე, პირთა ქმედებებისგან დისტანცირებაზე კეთდება;<sup>15</sup>
- დისტანცირების მიდგომისგან განსხვავებით, დერადიკალიზაცია აქცენტს აკეთებს ინიციატივებზე, რომლებიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ინდივიდის ძალადობრივი ქმედებებისგან ფიზიკურ დისტანცირებას, არამედ მის პიროვნებაში კოგნიტური ცვლილებების მოხდენასაც. აქ იგულისხმება ინდივიდთა შეხედულების ცვლილება ძალადობის შესახებ. შედეგად, პირთა ჩართულობა ექსტრემისტულ მოძრაობებში მცირდება იმ დონემდე, რომ ისინი აღარ დგანან ძალადობრივ ექსტრემიზმში მონაწილეობის რისკის წინაშე.<sup>16</sup>

საქართველოს წინაშე მდგარი რადიკალიზაციის მზარდი საფრთხის გათვალისწინებით, სახელმწიფოში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის გარკვეული ნაბიჯები იდგმება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს ექსტრემიზმთან ბრძოლის ძლიერი და ეფექტური მექანიზმები. უპირველეს ყოვლისა, ამაში იგულისხმება ის, რომ არ არსებობს ერთიანი სტრატეგია, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა რადიკალიზაციის თავიდან არიდებისა და პრევენციისათვის სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ამოცანები და ინიციატივები. გარკვეულწილად, ამითაა განპირობებული ის, რომ

14. გაეროს გენერალური ასამბლეა, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სამოქმედო გეგმა, 2.

15. John Horgan and Kurt Braddock, "Rehabilitating the Terrorists?: Challenges in Assessing the Effectiveness of De-radicalization Programs," *Terrorism and Political Violence* 22, no.2 (March 2010): 280,

<https://pdfs.semanticscholar.org/d4f4/d9a663a2a9bf1a7f02dfd2cd87bea22a8f22.pdf>

16. იხ. წინა კომენტარი.

სახელმწიფო აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავლებლად ძირითად აქცენტს სადამსჯელო ღონისძიებებზე აკეთებს.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება და რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართული პროგრამების განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარ გამოწვევებთან გასამკლავლებლად. ამის აუცილებლობა ამ კვლევამაც დაადასტურა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ქვეყანაში სახეზეა რადიკალიზაციის მაპროვოცირებელი სხვადასხვა ფაქტორი და საზოგადოება მოწყვლადია რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის საფრთხეების მიმართ. სტრატეგიის შემუშავებამდე, აუცილებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და კრიტიკულად გააზრება. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი წარმატებული პროგრამების ელემენტების მორგება საქართველოსთვის დამახასიათებელ გარემოებებთან.

ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისას, კვლევის ფარგლებში, შეირჩა ის სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნულ საფრთხეებთან გამკლავების წარმატებული ისტორია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ წარმოდგენილი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული პროგრამების პირდაპირ, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე გადმოტანა, არ იქნება მართებული. ასევე, გასათვალისწინებელია მსგავსი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსებიც. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება დაკავშირებულია ფინანსური სახსრების გამოყოფასთან, მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაიწყოს აქტიური თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება პარტნიორ სახელმწიფოებთან.

### 3.1 გაერთიანებული სამეფო

დიდი ბრიტანეთის სამეფო ერთ-ერთია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, რომელიც წლების განმავლობაში ძალადობრივ ექსტრემიზმს აქტიურად ებრძვის. 2011 წლის ივლისში ბრიტანეთის მთავრობამ შეიმუშავა „შეწინააღმდეგების სტრატეგია“ (Contest), რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტია ტერორიზმთან საბრძოლველად.<sup>17</sup> აღნიშნული სტრატეგია ოთხ ძირითად მიმართულებას გამოყოფს, რომელთა გარშემოც ვითარდება სახელმწიფოს კონტრტერორისტული საქმიანობა. ესენია: დევნის (Pursue), პრევენციის (Prevent), თავდაცვის (Protect) და მზადების (Prepare) მიდგომა.<sup>18</sup>

17. დიდი ბრიტანეთის მთავრობა, შეწინააღმდეგება: დიდი ბრიტანეთის სტრატეგია ტერორიზმთან საბრძოლველად (2011), [https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/97994/contest-summary.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/97994/contest-summary.pdf) (მოძიებული მარტი 6, 2018).

18. დიდი ბრიტანეთის მთავრობა, შეწინააღმდეგება, 6.



სტრატეგიის მთავარ მიდგომას პრევენცია წარმოადგენს. პრევენციის მიმართულების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რომელთა მიზანია ინდივიდების ტერორისტებად ან მათ მხარდამჭერებად გარდაქმნის გამორიცხვა. ამ მიდგომის პრიორიტეტად გამოცხადებამდე, ბრიტანეთის მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ შეუძლებელია ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხის მნიშვნელოვნად შემცირება მხოლოდ ძალისმიერ, სადამსჯელო ღონისძიებებზე დაყრდნობით. პრევენციის სტრატეგიით გათვალისწინებული პროგრამებით სახელმწიფო ებრძვის როგორც ტერორისტულ იდეოლოგიას, ისე ექსტრემისტულ ნარატივს, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, მომდინარეობს კანონის ფარგლებში მოქმედი არაძალადობრივი ორგანიზაციებისგან. სამოქმედო არეალის გაფართოებასთან ერთად, პრევენციის სტრატეგია მეტად ფოკუსირდება საზოგადოებრივი ინტეგრაციის ამოცანაზე, რისი წარმატებით განხორციელებაც თემების გაძლიერებისა და სოციალური კეთილდღეობის წინაპირობად მიიჩნევა.<sup>19</sup>

სტრატეგია სამი ძირითადი მიზნის მიღწევას ემსახურება: ტერორისტული იდეოლოგიისგან მომდინარე გამოწვევებსა და ამ იდეოლოგიის გამავრცელებელთაგან მომავალ საფრთხეზე რეაგირებას; ინდივიდთა ტერორიზმში ჩართვის პრევენციასა და მათთვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენას; მულტისექტორულ მუშაობას რადიკალიზაციის რისკების გასაწივრებად, რაც მოიცავს განათლების სისტემის, რელიგიური ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი ხელისუფლების, ჯანდაცვის სისტემისა და სხვა რელევანტური ინსტიტუტების ჩართვას აღნიშნულ საქმიანობაში.<sup>20</sup> ამ მიზნების მისაღწევად ფინანსდება საზოგადოებრივი კამპანიები, მენტორობისა და კონსულტაციის პროგრამები, პოსტერების კამპანიები, არაფორმალური განათლების პროგრამები.<sup>21</sup>

პრევენციის სტრატეგიის შეფასება საკმაოდ რთულია. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული რიგი პროექტებისა წარმატებით ხორციელდება, კრიტიკოსები ხშირად მიუთითებენ სამიზნე აუდიტორიის არაპროპორციულ, რელიგიურ იდენტობაზე დაფუძნებულ შერჩევაზე, რამაც შეიძლება საზოგადოების გახლეჩა და მუსლიმ თემში რადიკალიზაციის წახალისება გამოიწვიოს. მაგალითისთვის, 2015-2016 წლებში, 7,631 ბენეფიციარის უმეტესობა, კერძოდ, მათი 65%, 4,997 ადამიანი, ტერორიზმის პრევენციის პროგრამაში ჩართული იყო, წარმოადგენდა რა მოწყვლად ჯგუფს ისლამური რადიკალიზაციის მიმართულებით.<sup>22</sup>

19. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრის ოფისი, პრევენციის სტრატეგია, (2011), 24-25, [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/97976/prevent-strategy-review.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/97976/prevent-strategy-review.pdf) (მოძიებული მარტი 6, 2018).

20. იქვე, 7.

21. განხორციელებულ პროექტებს შორის წარმატებით გამოირჩევა: "Preventing Extremism Together," "Radical Middle Way," "Channel Project," "Newsnite," "E-safety awareness course," "Not in My Name."

22. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრის ოფისი, სტატისტიკური ბიულეტენი 23/17 (2017), 4, [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/677646/individuals-referred-supported-prevent-programme-apr2015-mar2016.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/677646/individuals-referred-supported-prevent-programme-apr2015-mar2016.pdf) (მოძიებული მარტი 6, 2018).



თავის მხრივ, მთავრობის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ პრევენციის პროგრამა ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის საკვანძო კომპონენტია: 2012 წლიდან, 1,000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო დახმარება Channel-ის პროექტის<sup>23</sup> მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს მხარდაჭერის აღმოჩენას რადიკალიზაციის ყველაზე მაღალის რისკის წინაშე მყოფი პირებისთვის. მხოლოდ 2015 წელს ჩაიშალა სირიასა და ერაყში საბრძოლველად წასვლის 150-ზე მეტი მცდელობა. რადიკალიზაციის მიმართ საზოგადოების მოქნილობის გასაზრდელად, 2015-2016 წლებში, საერთო ჯამში, განხორციელდა 142 პროექტი, რომლებმაც მოიცვა 42,000-ზე მეტი მონაწილე.<sup>24</sup>

### 3.2 ნიდერლანდების სამეფო

ნიდერლანდების სამეფოს „2016-2020 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია“ ექსტრემიზმისა და ტერორიზმის მიმართულებით სახელმწიფოს მთავარ საფრთხედ<sup>25</sup> გლობალურ ჯიჰადიზმს ასახელებს.<sup>26</sup> დოკუმენტის მიხედვით, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის პოლიტიკა ნიდერლანდებშიც მთავარ მიდგომას წარმოადგენს. ის გულისხმობს საზოგადოებაში ექსტრემიზმისა და ტერორიზმის მიმართ შიშის აღმოფხვრას, ინდივიდთა რეკრუტირების პრევენციას, ექსტრემისტთა ჯგუფებისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას მათი შესუსტებით და ძალადობრივი ქმედებების გამორიცხვას.<sup>27</sup> პრევენციის გარდა, კონტრტერორიზმის სტრატეგია ინფორმაციის მოპოვების (Procure), დაცვის (Protect), მზადებისა (Prepare) და სამართლებრივი დევნის (Prosecute) მიდგომებს აერთიანებს.

რაც შეეხება „ყოვლისმომცველ სამოქმედო პროგრამას ჯიჰადიზმთან საბრძოლველად,“ 2014 წელს გამოცემული დოკუმენტი აერთიანებს პრევენციულ ზომებს თემების გასაძლიერებლად, რადიკალიზაციისადმი საზოგადოების მდგრადობის გასაზრდელად და მოქალაქეთა ტერორისტების რიგებში გაწევრიანების გამოსარიცხად.<sup>28</sup> დოკუმენტში საუბარია ნიდერლანდების მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების

---

23. Channel-ის პროექტი, რომელიც 2007 წლიდან ხორციელდება, პრევენციის სტრატეგიის ერთ-ერთი საკვანძო ნაწილია. უწყებათაშორისი მიდგომის მეშვეობით, პროექტი მიზნად ისახავს ტერორიზმში ჩართვის რისკის ქვეშ მყოფი პირების იდენტიფიცირებასა და მათთვის დახმარების გაწევას.

24. დიდი ბრიტანეთის პარლამენტის არქივი, წერილობითი კითხვა 51248 (2016), <http://www.parliament.uk/business/publications/written-questions-answers-statements/written-question/Commons/2016-10-31/51248/> (მოძიებული მარტი 6, 2018).

25. „ნიდერლანდებში ტერორიზმის საფრთხის შეფასების დოკუმენტი (46),“ <https://english.nctv.nl/binaries/DTN46%20Summary-tcm32-294322.pdf>, ქვეყანაში ტერორიზმის საფრთხეს რეალურად მიიჩნევს და ხუთქულიანი სისტემით ოთხი ქულით აფასებს.

26. ნიდერლანდების კონტრტერორიზმისა და უსაფრთხოების ეროვნული კოორდინატორის ოფისი, 2016-2020 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია (2016), <https://english.nctv.nl/binaries/LR-100495-rapportage-EN-V3-tcm32-251878.pdf> (მოძიებული მარტი 8, 2018).

27. იქვე, 13-15.

28. ნიდერლანდების კონტრტერორიზმისა და უსაფრთხოების ეროვნული კოორდინატორის ოფისი, ყოვლისმომცველი სამოქმედო პროგრამა ჯიჰადიზმთან საბრძოლველად, (2014), <https://english.nctv.nl/binaries/def-a5-nctvjihadismuk-03-lr-tcm32-83910.pdf> (მოძიებული მარტი 8, 2018).

აუცილებლობაზე, რომლებიც შეისწავლის ქვეყანაში ძალადობრივი ექსტრემიზმის ბიძგის მიმცემ ფაქტორებს. აღნიშნული კვლევების შედეგების მიხედვით, პიროვნებებში ეკონომიკური ან სოციალური იზოლაციის გრძნობას შეუძლია ნიადაგის შექმნა, რომელიც ადამიანთა ჯგუფს რადიკალიზაციისადმი მოწყვლადად აქცევს. როდესაც ამ ფაქტორებს ერთვის მაპროვოცირებელი ქმედებები, მაგალითად, საყვარელი ადამიანის სიკვდილი ან დაპირისპირება ხელისუფლებასთან, პიროვნების რადიკალიზების პროცესი მარტივდება.

გააზრებული აქვს რა სახელმწიფოში ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი ფაქტორები, ნიდერლანდების მთავრობა ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის მულტიდისციპლინურ მიდგომის იყენებს. მიდგომის ფარგლებში, მთავრობა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს ექსტრემიზმში შემჩნეული ან ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი მგრძობიარე პირებისთვის. სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლებები, კონტრტერორიზმისა და უსაფრთხოების ეროვნული კოორდინატორის ოფისის მხარდაჭერით, მჭიდროდ თანამშრომლობენ პოლიციასთან, პროკურატურასთან, სოციალურ მუშაკებთან, ბავშვთა დაცვის სამსახურებთან, განათლების მუშაკებთან და თემის ლიდერებთან.<sup>29</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, მულტიდისციპლინური მიდგომის ფარგლებში უპირატესობა ენიჭება პრევენციული ზომების გამოყენებას. მათ შორის გამოსარჩევია მენტორობის, კონსულტაციის, სამუშაო ადგილებზე ტრენინგის პროგრამებისა და სხვა სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობა.<sup>30</sup> მსგავსი პროგრამები, ასევე, ხელს უწყობს ყოფილი ექსტრემისტების რეაბილიტაციას. ამ მოდელის მიხედვით, ნიდერლანდების მთავრობა რეპრესიულ ზომებს, მათ შორის, დაპატიმრებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას, განიხილავს უკიდურეს ნაბიჯებად, რომლებიც უნდა გადაიდგას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პრევენციულ ღონისძიებებს სასურველი შედეგი ვერ მოაქვს. რაც შეეხება სამშობლოში დაბრუნებულ ტერორისტ მებრძოლებს, ისინი ტერორიზმის საფრთხის შეფასებას გადიან. ამის შემდეგ, მებრძოლთა ნაწილს ბრალი წაეყენება, ნაწილი კი რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციარი ხდება.

დასამატებელია ისიც, რომ ნიდერლანდების სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტროში ფუნქციონირებს სოციალური სტაბილურობის ექსპერტიზის განყოფილება. აღნიშნული განყოფილება წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფს, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებებსა და თემებს აწვდიან რეკომენდაციებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ პრობლემებთან გასამკლავებლად. გარდა ამისა, ნიდერლანდებში არსებობს

---

29. როგორც უკვე აღინიშნა, ექსტრემიზმის მიმართულებით მთავარ საფრთხედ ნიდერლანდებში ჯიჰადიზმი და მასთან დაკავშირებული რადიკალიზაციის პროცესი მიიჩნევა. შესაბამისად, თემის ლიდერებში, რომლებიც ჩართულნი არიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, ძირითადად, მოიაზრებიან მუსლიმი თემის რელიგიური ლიდერები, მათ შორის იმამები, მეჩეთების ადმინისტრაცია. სახელმწიფოსთან თანამშრომლობით, ისინი ცდილობენ მუსლიმურ თემში ექსტრემიზმის საწინააღმდეგო კამპანიის გატარებასა და ისლამის რადიკალური გაგების გამორიცხვას.

30. ნიდერლანდების კონტრტერორიზმისა და უსაფრთხოების ეროვნული კოორდინატორის ოფისი, ყოვლისმომცველი სამოქმედო პროგრამა ჯიჰადიზმთან საბრძოლველად, 16-20.

ოჯახების დახმარების განყოფილება, რომელიც ეხმარება რადიკალიზებულ პირთა მშობლებსა და ოჯახის წევრებს, და “Exit Facility,” რომელიც წარსულში რადიკალურად განწყობილ პირებს საზოგადოებაში რეინტეგრაციას სთავაზობს.<sup>31</sup>

### 3.3 გერმანია

ნიდერლანდების სამეფოსა და დიდი ბრიტანეთის მსგავსად, პრევენციული მიდგომა პრიორიტეტულია გერმანიაშიც. „ფედერალური მთავრობის ექსტრემიზმის პრევენციისა და დემოკრატიის ხელშეწყობის სტრატეგია“ ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით ქვეყნის მთავარ საფრთხედ გამოყოფს მემარჯვენე და მემარცხენე ექსტრემიზმს და ისლამურ რადიკალიზაციას.<sup>32</sup> ექსტრემიზმის პრევენციისთვის მთავრობის სამოქმედო მიმართულებებად აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პოლიტიკური და სამოქალაქო განათლების განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობას, მენტორობისა და კონსულტაციის სერვისების მიწოდებას, მედიისა და ინტერნეტის მიმართულებით აქტიურ მუშაობას, კვლევის დაფინანსებას, საერთაშორისო თანამშრომლობას.<sup>33</sup>

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური მთავრობა, პრევენციის პოლიტიკასთან ერთად, აქცენტს დისტანცირების მიდგომაზეც აკეთებს. სახელმწიფოში წარმატებით ხორციელდება ძალადობრივი ექსტრემიზმის საწინააღმდეგო რამდენიმე პროგრამა, მათ შორის, „გამოსავლის პროგრამა“ (Exit to Enter), „ჰაიატი“ (Hayat) და „ძალადობის პრევენციის ქსელი“ (Violence Prevention Network). აღნიშნული პროგრამები ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვით ექსტრემიზმთან ბრძოლის უპირატეს მიზანს წარმოადგენს ძალადობრივ ქმედებებში ჩართულ რადიკალიზებულ ინდივიდებთან გამკლავება. შესაბამისად, ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართული რესურსები, პირველ რიგში, გამოიყენება არა იმ პირთა მიმართ, ვინც მხოლოდ იზიარებს ძალადობრივ იდეოლოგიას, არამედ აქტიურადაა ჩართული რადიკალურ ქმედებებშიც.<sup>34</sup>

გამოსავლის პროგრამა, რომელიც განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევა, ადამიანებს, არაფორმალური განათლების ან დასაქმების შეთავაზებით, რადიკალური ჯგუფებისგან დისტანცირებაში ეხმარება. პროგრამა პირდაპირი გზით არ ებრძვის ძალადობრივ

---

31. იხ. წინა კომენტარი.

32. გერმანიის ფედერალური მთავრობა, ფედერალური მთავრობის ექსტრემიზმის პრევენციისა და დემოკრატიის ხელშეწყობის სტრატეგია, (2016), 9-10,

[https://www.bmfs-](https://www.bmfs-fj.de/blob/115448/cc142d640b37b7dd76e48b8fd9178cc5/strategie-der-bundesregierung-zur-extremismuspraevention-und-demokratief-oerderung-englisch-data.pdf)

[fj.de/blob/115448/cc142d640b37b7dd76e48b8fd9178cc5/strategie-der-bundesregierung-zur-extremismuspraevention-und-demokratief-oerderung-englisch-data.pdf](https://www.bmfs-fj.de/blob/115448/cc142d640b37b7dd76e48b8fd9178cc5/strategie-der-bundesregierung-zur-extremismuspraevention-und-demokratief-oerderung-englisch-data.pdf) (მოძიებული მარტი 9, 2018).

33. იქვე, 17-26.

34. Peter Romaniuk, Does CVE Work? Lessons Learned from the Global Effort to Counter Violent Extremism, Global Center on Cooperative Security, (2015), 27, <http://www.globalcenter.org/wp-content/uploads/2015/09/Does-CVE-Work-2015.pdf>.

რადიკალიზმს. ამის ნაცვლად, ის წინ წამოწევს ინიციატივებს, რომლებიც ექსტრემისტთა ქსელის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების ეტაპობრივად განეიტრალების საშუალებას იძლევა.

პროგრამის წარმატება დიდწილად განაპირობებულია იმით, რომ გერმანიის ფედერაციული მთავრობა მხედველობაში იღებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლისას. ექსტრემისტული ჯგუფების დატოვებისას, პროგრამის მონაწილეებზე ინდივიდუალურადაა მორგებული ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ისინი საზოგადოებას უნდა დაუბრუნდნენ. სტატისტიკა აჩვენებს, რომ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა და შემოთავაზებული სერვისებით სარგებლობა ყველაზე მიმზიდველი 25 წლის ასაკში ხდება. ცხოვრების ამ ეტაპზე, აღნიშნული პროგრამის წყალობით, ბევრი ექსტრემისტი ჩამოშორდა გზას, რომელსაც ისინი ადრეულ ასაკში დაადგინეს. გარდა ამისა, გერმანიის მთავრობამ აიღო გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება პროგრამის განსახორციელებლად, რამაც არანაკლები როლი ითამაშა გამოსავლის პროგრამის წარმატებაში.<sup>35</sup> შედეგად, 2000 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც პროგრამა ხორციელდება, დაახლოებით 500 ინდივიდუალური შემთხვევა დასრულდა წარმატებით, ხოლო რეციდივიზმის მაჩვენებელი 3%-ით შემცირდა.<sup>36</sup>

### 3.4 დანია

ძალადობრივ ექსტრემიზმთან საბრძოლველად დანიის ყოვლისმომცველი მიდგომა ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვითაც, ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საფრთხე არ წარმოადგენს მხოლოდ უსაფრთხოების საკითხს. ამის საპირისპიროდ, რადიკალიზაციის პროცესი წარმოშობს სოციალურ შედეგებს, რაც დაკავშირებულია, მაგალითად, სოციალურ ინტეგრაციასთან, კონკრეტულ ინდივიდთა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობასთან, საზოგადოების კეთილდღეობასა და განვითარებასთან. აქედან გამომდინარე, ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის მიმართულებით კოორდინირებულად მუშაობენ როგორც ადგილობრივი და რეგიონული, ისე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები.<sup>37</sup>

---

35. Petra Boumaiza, "Labor-Market Oriented Exit-Support Work to Combat Right-Wing Extremism: the XENOS Special Program, "Exit to Enter" (Ausstieg zum Einstieg)," in Right-Wing Extremism in Europe: Country Analyses, Counter Strategies and Labour-Market Oriented Exit Strategies, eds. Ralf Melzer and Sebastian Serafi (Berlin: Druck- und Verlagshaus Zarbock GmbH & Co. KG, 2013), 306-325, <http://library.fes.de/pdf-files/dialog/10031.pdf>.

36. გამოსავლის პროგრამის საინფორმაციო ბროშურა, მეორე გამოცემა, 3, <http://www.exit-deutschland.de/english/> (მოძიებული მარტი 9, 2018).

37. დანიის იმიგრაციის, ინტერგაციისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია და მათთან ბრძოლა: ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016), 12-17, <https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation-awareness-network/docs/preventing-counteracting-extremism-radicalisation-en.pdf> (მოძიებული მარტი 11, 2018).



გერმანიის მსგავსად, რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართული პირველი ტალღის შემდეგ, დანიაშიც მიიღო გამოცდილება, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგია საწყის ეტაპზე უფრო მეტად უნდა დაუპირისპირდეს ქმედებებს, ვიდრე ღირებულებებს. ამ მიდგომის შესაბამისად, დანიის მთავრობა ნაკლებად ჩაერთო ექსტრემისტებთან იდეოლოგიურ ბრძოლაში, ჩათვალა რა, რომ აღნიშნულ ამოცანას სამოქალაქო საზოგადოება უკეთ ასრულებს. ნაცვლად ამისა, მთავრობამ აქცენტი გააკეთა ინდივიდებთან გამკლავებაზე, რომლებიც ძალადობრივ ქმედებებში ჩართვის რისკით გამოირჩევიან. აღნიშნულმა მიდგომამ, დანიას ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის ინოვაციური ზომების განვითარების საშუალება მისცა.

დანიამო მოქმედი ძალადობრივი ექსტრემიზმის საწინააღმდეგო პროგრამებიდან გამოსარჩევია ორჰუსის მოდელი (The Aarhus model). ორჰუსის, დანიის სიდიდით მეორე ქალაქის ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ახალგაზრდების „ისლამურ სახელმწიფოსა“ და „ალ-ქაიდაში“ გაწევრიანების საწინააღმდეგო პოლიტიკა. ქალაქი რადიკალიზებულ მაცხოვრებლებს სთავაზობს კონსულტაციისა და მენტორობის სპეციფიკურ, ინდივიდზე მორგებულ სერვისებს. გარდა ამისა, მათთვის, ვინც მხარს უჭერს ან მზად არის განახორციელოს ძალადობრივი ქმედებები, შეთავაზებულია გამოსავლის პროგრამები. ორჰუსის მოდელი ცნობილია სირიიდან და ერაყიდან დაბრუნებული მეგრძოლების რეაბილიტაციაზე ფოკუსირებითაც. რეაბილიტაციის პროგრამები მოიცავს მშობლებს, ოჯახურ ქსელებს, სოციალურ მუშაკებსა და პედაგოგებს, რომლებიც ახალგაზრდების მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. რეაბილიტაციის ფარგლებში, დანიამო დაბრუნებულ პირებს მიეწოდებათ კონსულტაციისა და მენტორობის სერვისი, ასევე, ეძლევათ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილეობის საშუალება.

მოდელმა შექმნა ნდობა ხელისუფლებასა და სოციალურ გარემოს შორის, რომელშიც ექსტრემისტები ცხოვრობენ. დიდწილად, ეს ფაქტორი განაპირობებს კიდევ მის წარმატებას. დაბრუნებული მეგრძოლების წინააღმდეგ მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებას, სამართლებრივი დევნის ან იზოლირების ნაცვლად, აქცენტი მათ დახმარებაზე გადააქვს. ხელისუფლების მხრიდან მინიმალურ ჩარევაზეა ორიენტირებული ორჰუსის მოდელის გამოსავლის პროგრამებიც. რადიკალიზებულ პიროვნებებს, რომელთაც სურთ ექსტრემისტული ორგანიზაციების დატოვება, დაპატიმრების ნაცვლად, ხელისუფლება დასაქმების შესაძლებლობას სთავაზობს.

დასამატებელია ისიც, რომ ხსენებული მიდგომა ეფუძნება დაშვებას, რომლის მიხედვითაც, რადიკალიზაციის პროცესი თითოეული ინდივიდის შემთხვევაში განსხვავებულია. შესაბამისად, ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პროგრამები ინდივიდუალურადაა მორგებული ბენეფიციარებზე. შედეგად, 2014 და 2015 წლებში, სირიასა და ერაყში

საბრძოლველად წასვლის მიზნით, ორკუსი დატოვა მხოლოდ ოთხმა პიროვნებამ. 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 31-ს შეადგენდა.<sup>38</sup>

### 3.5 ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგია განსხვავებულ მიდგომას ეფუძნება. როგორც ზემოთ მიმოხილული ქვეყნების მაგალითზე ჩანს, ევროპაში ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გასამკლავებლად საზოგადოებაზე ორიენტირებულ მიდგომას (Community-Based Approach) იყენებენ. ასეთი პრინციპით შემუშავებული პროგრამების განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი. უსაფრთხოების სფეროს ზემოთ აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად ევროპაში მსგავსი ტიპის პროგრამებზე უფრო დიდი აქცენტი კეთდება.

რბილის ძალის პრინციპზე დაფუძნებული პროგრამები ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გამოიყენება. აღნიშნული პროგრამების მასშტაბებიც საკმაოდ დიდია და მათში საზოგადოებრივი ჯგუფებიც მნიშვნელოვნად არიან ჩართულნი. ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ აშშ-ში ძალადობრივ ექსტრემიზმთან საბრძოლველად საზოგადოებაზე დაფუძნებულ მიდგომას ანიჭებენ უპირატესობას. ამის საპირისპიროდ, დიდ აქცენტი კეთდება ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე, რომლებიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. ამას ადასტურებს აშშ-ს სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია სახელმწიფოს ხედვები რადიკალიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგალითად, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგია.“<sup>39</sup>

აღნიშნული დოკუმენტი აშშ-ში ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის მთავარი სახელმძღვანელოა. მის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კონტრტერორისტული მიმართულებით სახელმწიფოს პრიორიტეტად ძალისმიერი მეთოდებისა და სამართლებრივი მექანიზმების აქტიურად გამოყენება რჩება. თუმცა, აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი, რომელმაც სტრატეგია 2016 წლის ოქტომბერში შეიმუშავა, მიიჩნევს, რომ აუცილებელია პროაქტიური, საზოგადოებაზე დაფუძნებული პრევენციის მიდგომის წინ წამოწევა.<sup>40</sup> სწორედ ამას ემსახურება აღნიშნული დოკუმენტი, აყალიბებს რა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულებით აშშ-ს მთავარ მიზნებს.

38. Kelly Cobiella, “Denmark De-Radicalization Program Aims to Reintegrate, Not Condemn,” NBC News, May 24, 2015, accessed March 11, 2018, <https://www.nbcnews.com/storyline/isis-terror/denmark-de-radicalization-n355346>.

39. აშშ-ს ეროვნული თავდაცვის დეპარტამენტი, ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგია (2016), <https://www.dhs.gov/sites/default/files/publications/16-1028-S1-CVE-strategy.pdf> (მომიებული მარტი 13, 2018).

40. იქვე, 1.



ეროვნული თავდაცვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რელევანტურ საზოგადოებრივ ჯგუფებთან მუშაობას და ამ მისიის შესრულებას. პარტნიორ ჯგუფებად მოიაზრება არასამთავრობო სექტორი, საქველმოქმედო ორგანიზაციები, კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტები, სოციალური სერვისის მიმწოდებლები, კერძო სექტორი. მათთან ერთად, უწყებათაშორისი მიდგომის ფარგლებში, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია ფედერალური, საშტატო და ადგილობრივი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები. კვლევების შედეგების საფუძველზე, აშშ-ში მიიჩნევენ, რომ, ნახსენებ ჯგუფებს შორის, ადგილობრივი თემი არის ყველაზე ეფექტური რგოლი, რომელსაც ინდივიდების რადიკალიზაციისგან დაცვა და ძალადობრივი ექსტრემიზმისგან დისტანცირება შეუძლია. ოჯახს, მეზობლებს, კოლეგებს, მასწავლებლებს შეუძლიათ ექსტრემიზმის მაპროვოცირებელი გარემოებების ადრეულ სტადიაზე შემჩნევა და მათთან გამკლავება. შესაბამისად, სტრატეგია ადგილობრივი თემისა და სხვა რელევანტური საზოგადოებრივი ჯგუფების გაძლიერებაზე კონცენტრირდება.<sup>41</sup>

დოკუმენტით განსაზღვრულ ოთხ ძირითად ეროვნულ მიზანს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულებით წარმოადგენს:

- ძალადობრივი ექსტრემიზმის მზარდი საფრთხის უკეთ გააზრება და მასთან გამკლავების ეფექტური გზების შემუშავება;
- პარტნიორი საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის ინფორმაციის გაზიარების გზით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- საზოგადოებაზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, ძალადობრივი ექსტრემიზმის საწინააღმდეგო ინიციატივების მხარდაჭერა;
- ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას, ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის მაკოორდინირებელი ფუნქციის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი ამოცანები, რომელთა შესრულებაც შესაბამისი მიზნის მიღწევის წინაპირობაა და დასახულია ვადები კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.<sup>42</sup>

---

41. იქვე, 1-3.

42. იქვე, 4-14.

### 3.6 საერთაშორისო ორგანიზაციები - ევროკავშირისა და ეუთოს გამოცდილება

ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას პრევენცია ევროკავშირშიც დომინანტურ მიდგომას წარმოადგენს. ევროკომისიის მიერ 2014 წელს შედგენილ დოკუმენტში – „რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია: ევროკავშირის პასუხის გაძლიერება,“ ასახულია პრევენციული ზომები, რომელთა გატარებაც სახელმწიფოებს აღნიშნული მიმართულებით უსაფრთხოების გამოწვევების დაძლევის გზაზე ესაჭიროებათ.<sup>43</sup> დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს ტერორიზმის მიმართულებით თანამედროვე ტენდენციებსა და სახელმწიფოთა წინაშე მდგარ გამოწვევებს. ამაზე დაყრდნობით, წარმოდგენილია პრევენციული მიდგომით გათვალისწინებული ქმედებები. აღნიშნულ ქმედებებში ერთიანდება: სახელმწიფოთა მხრიდან რადიკალიზაციის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის შექმნა; რადიკალიზაციის სფეროში კვლევითი პროექტებისა და ექსპერტების დაფინანსება; რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების ქსელის (Radicalisation Awareness Network) რესურსების უკეთ გამოყენება; პრევენციული ზომების გასატარებლად რელევანტური პრაქტიკოსების გადამზადება; სახელმწიფოთა მიერ გამოსავლის სტრატეგიების (Exit Strategy) შექმნა, რომელიც მათ მოქალაქეებს ძალადობრივი ექსტრემისტული ქსელის დატოვებაში დაეხმარება; რადიკალიზაციის მსხვერპლთა გაძლიერება; სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა; ექსტრემისტულ ნარატივთან ბრძოლა.<sup>44</sup>

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საერთაშორისო ორგანიზაციები რადიკალიზაციასთან საბრძოლველად ყოვლისმომცველ მიდგომას ავითარებენ, სადაც აქცენტი პრევენციის მიმართულებაზე კეთდება. წევრ სახელმწიფოებში მსგავსი პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობაზე მიუთითებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაც. ეუთოს წევრ სახელმწიფოთა ნაწილმა განავითარა აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომა, რაც გულისხმობს საზოგადოების მხარდაჭერასა და აქტიურ მონაწილეობას/ მიდგომა აერთიანებს ადგილობრივ გარემოსთან მორგებულ ინიციატივებს, რომლებიც, გარდა ტრადიციული აქტორებისა, იზიდავს მონაწილეთა ფართო სპექტრს სამოქალაქო საზოგადოებიდან, ბიზნეს ჯგუფებიდან, მედიიდან. შესაბამისად, საჯარო ინსტიტუტებისა და აღნიშნული აქტორების ძალისხმევა ერთიანდება საერთო მიზნის გარშემო, რაც პრევენციული ზომების გატარებას გულისხმობს.<sup>45</sup>

---

43. ევროკომისია, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია: ევროკავშირის პასუხის გაძლიერება (2014), [http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014-2019/documents/com-com\(2013\)0941-/com-com\(2013\)0941-en.pdf](http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014-2019/documents/com-com(2013)0941-/com-com(2013)0941-en.pdf) (მოძიებული მარტი 14, 2018).

44. იქვე, 4-12.

45. იქვე, 61-74.

საზოგადოებაზე ორიენტირებულ პრევენციის მიდგომასთან ერთად, ეუთოს წევრ სახელმწიფოებში საკმაოდ პოპულარულია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მიდგომა (Community-Policing Approach). მსგავსი ტიპის საპოლიციო ფუნქციების შესრულება ეფუძნება პოლიციის ადგილობრივ აქტორებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან პარტნიორობის იდეას. ეს თანამშრომლობა პრობლემების პროაქტიურ გადაწყვეტასა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულებით სტრატეგიულ ქმედებებში საზოგადოების უფრო მასშტაბურ მონაწილეობას გულისხმობს. მიდგომის წარმატებას განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდობის ხარისხი და წარმატებული თანამშრომლობის ისტორია. ეუთოში მიიჩნევენ, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პრევენციისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მეთოდების წარმატებით განხორციელება ყოვლისმომცველი მიდგომის ფარგლებში არის ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების მთავარი წინაპირობა.<sup>46</sup>

---

46. იქვე, 75-93.

კვლევის შედეგები, გამართული დისკუსიები და ბოლო წლებში სამიზნე რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ანალიზი თვალსაჩინოს ხდის, რომ საქართველოში, მეტ-ნაკლებად, გვხვდება რადიკალიზაციის ხელშემწყობი ზემოთ განხილული ცხრავე ფაქტორი. როგორც აღინიშნა, რადიკალიზაციის ხუთი დეტერმინანტი (ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები; სოციალური ფაქტორები; იდეოლოგიური/რელიგიური ფაქტორები; რადიკალიზატორები; სოციალური მედია) განსაკუთრებული სიმწვავეთაა წარმოდგენილი სამიზნე რეგიონებში, ორი დეტერმინანტი (კულტურული და იდენტობის კრიზისი; ჯგუფური დინამიკა) მეტ აქტუალობას სპეციფიკური გარემოებების პირობებში იძენს, დარჩენილი ორი (პოლიტიკური ფაქტორები; ტრავმა, რევანშიზმი და სხვა მექანიზმები) კი – სახელმწიფოში ნაკლებად მწვავედ დგას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მოწყვლადია რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის საფრთხეების მიმართ. შესაბამისი კატალიზატორების ამოქმედების შემთხვევაში, მოცემულ ფაქტორთა ერთობლიობა ნეგატიურ გავლენას იქონიებს სახელმწიფოს უსაფრთხოების გარემოზე.

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, არსებობდეს ერთიანი სამთავრობო, კოორდინირებული და დროში გაწერილი სტრატეგია, რომელიც გამორიცხავს არათანმიმდევრულ, სპონტანურ პოლიტიკას. სტრატეგიის შემუშავების პროცესში და სამოქმედო გეგმის აღსრულებისას, აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განსაზღვროს მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ პოლიტიკას. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია ისეთი ორგანოს არსებობა, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება რელევანტური სახელისუფლო და საზოგადოებრივი ინსტიტუციების მუშაობის კოორდინირება ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის მიმართულებით. აღნიშნული ორგანოს კომპეტენციაში უნდა შევიდეს სახელმწიფოს სტრატეგიული ანტიექსტრემისტული მიდგომის განსაზღვრა, შესაბამისი დოკუმენტების მიღება, სპეციფიკურ გარემოებებსა და ინდივიდებზე მორგებული პროგრამების შემუშავება, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის აქტიური ჩართვა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულებით სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საზოგადოებრივი ჯგუფების გააქტიურებასთან ერთად, გამოიკვეთა, რომ რადიკალიზაციის პრევენციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მიერ სწორად შერჩეულ მიდგომებს იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამ გამოწვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამიზნე რეგიონებში ხარისხიან განათლებაზე დაბალი ხელმისაწვდომობაა. მიზანშეწონილია როგორც ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა, ისე მოწყვლადი ჯგუფებისთვის არაფორმალური განათლების სერვისის მიწოდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება დაეთმოს სოციალური დეპრივაციისა და თვითრეალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევის დაძლევა და, არსებული რესურსების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას.

## **რეკომენდაციები და სახელმწიფო სტრატეგიის მონახაზი**

„საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრმა,“ განხორციელებული კვლევისა და საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზების შედეგად, შეიმუშავა მიზნობრივი რეკომენდაციების პაკეტი და სტრატეგიის მონახაზი, რაც დაეხმარება სახელმწიფოს ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ეფექტური სტრატეგიის შემუშავებაში.

### **სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება**

მნიშვნელოვანია, შეიქმნას სამთავრობო სტრატეგია, რომლის ძირითადი მიზანი იქნება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შემცირება სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინაციის გაზრდისა და პრევენციული პროგრამების დანერგვის გზით. სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებაზე ორიენტირებულ მიდგომას. სტრატეგიის შემუშავების პროცესში, აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. (სტრატეგიის მონახაზი და ამოცანები შეგიძლიათ იხილოთ დანართის სახით).

### **კოორდინაცია და ერთობლივი მიდგომა**

ა) ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინირებული და ერთობლივი მიდგომის ჩამოყალიბება იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ გამოწვევასთან გამკლავება სცდება ცალკე აღებული სამინისტროსა თუ საჯარო დაწესებულების შესაძლებლობებს;



ბ) ერთობლივი მიდგომის ჩამოყალიბებისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავების გზაზე სხვადასხვა უწყებების მხრიდან გადადგმული ნაბიჯების, პროგრამებისა და აქტივობების დაკავშირებასა და ინტეგრირებას;

გ) აუცილებელია რადიკალიზაციისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართულებით ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის ამაღლება და ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდა პირველადი პრევენციული აქტივობების გატარების კუთხით;

დ) მოწყვლად რეგიონებში ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ კომუნიკაცია ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფებთან, მათი წარმომადგენლების ჩართვით აღნიშნულ პროცესში, ასევე, მათი ჩართულობის გაზრდით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუცილებელია, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდულ ინიციატივებს;

### **საზოგადოების სწავლების ანაღვება და რეზილიენცია (RESILIENCE) გაზრდა**

ე) ძალადობრივ ექსტრემისტულ იდეოლოგიასთან გამკლავებისათვის, აუცილებელია სხვადასხვა რეგიონში საგანმანათლებლო პროგრამებისა და აქტივობების გამართვა, რომლებიც მიმართული იქნება, ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, ტოლერანტობის, პლურალიზმის იდეის, სეკულარიზმის ხელშეწყობისკენ;

ვ) მნიშვნელოვანია ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლება იქ, სადაც არსებობს ენობრივი ბარიერი;

ზ) რადიკალიზაციისა და ძალადობრივ იდეოლოგიასთან გამკლავების მიმართულებით, აუცილებელია მასწავლებელთათვის სპეციალური სახელმძღვანელოების მომზადება და შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გზით. მასწავლებლების სწორი მუშაობა დაგვეხმარება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შესაძლო განვითარებას საწყის ეტაპზე და ვუპირისპიროთ პრევენციული მექანიზმები, განსაკუთრებით – მოწყვლად რეგიონებში. ამასთან, აუცილებელია, გაიზარდოს მასწავლებლის ფუნქცია, დაეხმაროს მოსწავლეებს ექსტრემისტული ნარატივის მიმართ გამძლეობის გამომუშავებასა და სოციალურ-ემოციური უნარების შექმნაში.

თ) კოორდინირებული მოქმედებასა და საჭიროების ანალიზზე დაფუძნებით, საჭიროა დამატებით სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიების მხარდაჭერა, რომელიც



ხელს შეუწყობს ეროვნული ინტეგრაციის პროცესს და დაიცავს/წარმოაჩენს ყველა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის თვითმყოფადობას;  
სტრატეგიის შემუშავების პროცესში სხვადასხვა აქტორებთან თანამშრომლობის გაზრდა

### **სტრატეგიის შედეგების პროცესში სხვადასხვა აქტორებთან თანამშრომლობის გაზრდა**

ი) აუცილებელია ადგილობრივ სათემო წარმომადგენლებთან, ლიდერებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება და ერთობლივი აქტივობების შეთავაზება რადიკალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორებთან გამკლავების მიმართულებით;

კ) მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაღრმავება ადგილობრივ არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებთან, მათთან, ვისაც აქვს ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მაღალი ხარისხი და მიმღებლობა.

სტრატეგია ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავლებლად  
(სტრუქტურა)  
2018-2020 წწ

წინაპირობა:

სამთავრობო სტრატეგიის შექმნის მიზანი საქართველოში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის რისკების შემცირება უნდა იყოს. სტრატეგია სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად უნდა გამოეხმაუროს უცხო სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობას. საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ტერორიზმთან ბრძოლას, ეროვნული ინტეგრაციის ხელშეწყობას, ამ მიმართულებით რისკების შემცირებასა და სოციალური სტაბილურობის მიღწევას, საჭიროდ უნდა მიიჩნიოს ძალადობრივი ექსტრემიზმის აღკვეთისათვის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ კონტრტერორისტული და სამართალდამცავი ძალისხმევა ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას სახელმწიფოს უწყვეტი პრიორიტეტია, ცვალებადი საფრთხის შემცველი გარემო აჩენს აქტიური, საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომის, რბილი ძალის პრინციპით დახასიათებული პრევენციისა პოლიტიკისა და შესაბამისი ინტერვენციების საჭიროებას.

სტრატეგიის პრინციპები:

წინამდებარე სტრატეგია შესაძლოა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავების გზაზე, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავ და სადაზვერვო საქმიანობასთან ერთად, მეტი ყურადღება მიენიჭოს რბილის ძალის პრინციპებზე დაფუძნებულ პრევენციულ მიდგომას, სამოქალაქო ინტეგრაციის, საზოგადოების ცნობიერებისა და მედეგობის (RESILIENCE) ამაღლებას;
- ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციას, ასევე საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობას საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებში აქვს მრავალი მოტივაცია და ის არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტული რეგიონით, რელიგიითა და იდეოლოგიით;
- სტრატეგიისათვის უმთავრესია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების, თავისუფლების, სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვა.

მიზანი:

სამთავრობო სტრატეგიის მიზანს უნდა წარმოადგენს საქართველოში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შემცირება სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინაციის გაზრდისა და პრევენციული პროგრამების დანერგვის გზით. სტრატეგია მიზნად ისახავს განსაზღვროს პრიორიტეტული ამოცანები და სამთავრობო ხედვა, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და ადგილობრივ საჭიროებებს.

### ამოცანა 1. ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების მუდმივი შესწავლა

- კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიღება, რომელიც გაზრდის სახელმწიფო ინსტიტუტების ცოდნას; ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შესაძლო ხელშემწყობი ფაქტორების არსებობის შესახებ. ის ასევე ხელს შეუწყობს ეფექტური პროგრამებისა და აქტივობების დაგეგმვას;
- სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი აქტივობების დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების პერიოდულ ანგარიშებზე დაყრდობა.

### ამოცანა 2. ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინაციის გაუმჯობესება

- ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავების გზაზე სხვადასხვა უწყებების მხრიდან გადადგმული ნაბიჯების, პროგრამებისა და აქტივობების დაკავშირება და ინტეგრირება;
- უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც წინასწარ დადგენილი ინტენსივობითა და მანდატით იმუშავებს ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავების გზაზე საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომის დაგეგმვის მიმართულებით;
- რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართულებით ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის ამაღლება;
- ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდა პირველადი პრევენციული აქტივობების ჩატარების კუთხით.

### ამოცანა 3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მედეგობის (RESILIENCE) გაზრდა

- ძალადობრივ ექსტრემისტულ იდეოლოგიასთან გამკლავებისთვის სხვადასხვა რეგიონში საგანმანათლებლო პროგრამებისა გატარება და აქტივობების გამართვა, რომლებიც, განსაკუთრებით, მიმართული იქნება ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, ტოლერანტობის, პლურალიზმის იდეისა და სეკულარიზმის ხელშეწყობისკენ;
- სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ინტეგრაციის პროცესს და დაიცავს/წარმოაჩინს ყველა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის თვითმყოფადობას;
- მედეგობის გასაზრდელად, სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერება, რაც, პირველ რიგში, მოქალაქეებისთვის ექსტრემისტული იდეებისა და გზავნილების გაბათილებასა და პოზიტიური, ალტერნატიული ნარატივის შეთავაზებას გულისხმობს;

- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებული სტერეოტიპებისა და არასწორი წარმოდგენების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გატარება.

**ამოცანა 4. ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავების კუთხით სახელმწიფოსა და სხვადასხვა აქტორების თანამშრომლობის გაზრდა**

- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების გამართვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინფორმაციის გაცვლისა და ცოდნის გადრმავეების მიმართულებით;
- რეგიონული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, მათ შორის, ტრენინგებისა და გზამკვლელების მიწოდების გზით;
- ადგილობრივ სათემო წარმომადგენლებთან, რელიგიურ ლიდერებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება და ერთობლივი აქტივობების შეთავაზება რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების გამკლავების მიმართულებით;
- რეგიონული დიალოგისა და რეგულარული შეხვედრების მოწყობა თბილისში, ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჩართულობით.

**ამოცანა 5. ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციისთან გამკლავების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება**

- საერთაშორისო პარტნიორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით;
- ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან ბრძოლის საუკეთესო გამოცდილების მქონე ქვეყნებისგან შესაბამისი პრაქტიკის შესწავლა, გაანალიზება და საქართველოსთვის დამახასიათებელ გარემოებებთან მორგება;
- შესაბამისი პროგრამებისა თუ მათი ცალკეული ელემენტების შესწავლა, ადგილობრივ კონტექსტთან მორგება და განხორციელება.

**სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება და მონიტორინგი**

- სტრატეგიის ამოცანებთან შესაბამისობაში სამოქმედო გეგმის პერიოდული მონიტორინგი და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილვა;
- სტრატეგიის პროგრესისა და გამოწვევების განხილვა სხვადასხვა აქტორებთან, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან;
- აქტივობების ეფექტურობის დადგენის მიზნით, რეგიონებში პერიოდული კვლევების ჩატარება.

## გამოყენებული ლიტერატურა

აშშ-ს ეროვნული თავდაცვის დეპარტამენტი. ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგია. 2016. მოდიფიკებული მარტი 13, 2018.

<https://www.dhs.gov/sites/default/files/publications/16-1028-S1-CVE-strategy.pdf>

გაეროს გენერალური ასამბლეა. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სამოქმედო გეგმა (გენერალური მდივნის ანგარიში). 2015. მოდიფიკებული მარტი 3, 2018.

<http://www.un.org/en/ga/search/view-doc.asp?symbol=A/70/674>

გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2178 (2014). მოდიფიკებული მარტი 3, 2018.

<http://www.un.org/en/ga/search/view-doc.asp?symbol=S/RES/2178%20%282014%29>.

გამოსავლის პროგრამის საინფორმაციო ბროშურა, მეორე გამოცემა. მოდიფიკებული მარტი 9, 2018. <http://www.exit-deutschland.de/english/>.

გერმანიის ფედერალური მთავრობა. ფედერალური მთავრობის ექსტრემიზმის პრევენციისა და დემოკრატიის ხელშეწყობის სტრატეგია. 2016. მოდიფიკებული მარტი 9, 2018.

[https://www.bmfs-](https://www.bmfs-fj.de/blob/115448/cc142d640b37b7dd76e48b8fd9178cc5/strategie-der-bundesregierung-zur-extremismuspraevention-und-demokratiefoerderung-englisch-data.pdf)

[fj.de/blob/115448/cc142d640b37b7dd76e48b8fd9178cc5/strategie-der-bundesregierung-zur-extremismuspraevention-und-demokratiefoerderung-englisch-data.pdf](https://www.bmfs-fj.de/blob/115448/cc142d640b37b7dd76e48b8fd9178cc5/strategie-der-bundesregierung-zur-extremismuspraevention-und-demokratiefoerderung-englisch-data.pdf).

დანის იმიგრაციის, ინტერგაციისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია და მათთან ბრძოლა: ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016). მოდიფიკებული მარტი 11, 2018.

[https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/-](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation-awareness-network/docs/preventing-counteracting-extremism-radicalisation-en.pdf)

[files/what-we-do/networks/radicalisation-awareness-network/docs/preventing-counteracting-extremism-radicalisation-en.pdf](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation-awareness-network/docs/preventing-counteracting-extremism-radicalisation-en.pdf)

დიდი ბრიტანეთის მთავრობა. შეწინააღმდეგება: დიდი ბრიტანეთის სტრატეგია ტერორიზმთან საბრძოლველად. 2011. მოდიფიკებული მარტი 6, 2018.

[https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attach-](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/97994/contest-summary.pdf)  
[ment-data/file/97994/contest-summary.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/97994/contest-summary.pdf).



დიდი ბრიტანეთის პარლამენტის არქივი. წერილობითი კითხვა 51248 (2016). მოძიებული მარტი 6, 2018. <http://www.parliament.uk/business/publications/written-questions-answers-statements/written-question/Commons/2016-10-31/51248/>.

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრის ოფისი. პრევენციის სტრატეგია. 2011. მოძიებული მარტი 6, 2018. [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/97976/prevent-strategy-review.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/97976/prevent-strategy-review.pdf).

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრის ოფისი. სტატისტიკური ბიულეტენი 23/17 (2017). მოძიებული მარტი 6, 2018. [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/677646/individuals-referred-supported-prevent-programme-e-apr2015-mar2016.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/677646/individuals-referred-supported-prevent-programme-e-apr2015-mar2016.pdf)

ევროკომისია. რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია: ევროკავშირის პასუხის გაძლიერება. 2014. მოძიებული მარტი 14, 2018. [http://www.europarl.europa.eu/meet-docs/2014-2019/documents/com/com-com\(2013\)0941-/com-com\(2013\)0941-en.pdf](http://www.europarl.europa.eu/meet-docs/2014-2019/documents/com/com-com(2013)0941-/com-com(2013)0941-en.pdf).

ევროპის უსაფრთხოებისა და განვითარების ორგანიზაცია. ტერორიზმის პრევენცია და ძალადობრივ ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან ბრძოლა: საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მიდგომა. 2014. მოძიებული მარტი 15, 2018. <https://www.osce.org/atu/111438?download=true>.

მეფარიშვილი, მიშა. „ბორჩაშვილი და სამი პირი ტერორიზმში მონაწილეობის გამო სასამართლომ დამნაშავედ მიიჩნია.“ ნეტგაზეთი, მარტი 7, 2016. მოძიებული იანვარი 24, 2018. <http://netgazeti.ge/news/99509/>.

ნიდერლანდების კონტრტერორიზმისა და უსაფრთხოების ეროვნული კოორდინატორის ოფისი. 2016-2020 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია. 2016. მოძიებული მარტი 8, 2018. <https://english.nctv.nl/binaries/LR-100495-rapportage-EN-V3-tcm32-251878.pdf>.

ნიდერლანდების კონტრტერორიზმისა და უსაფრთხოების ეროვნული კოორდინატორის ოფისი. ყოვლისმომცველი სამოქმედო პროგრამა ჯიჰადიზმთან საბრძოლველად. 2014. მოძიებული მარტი 8, 2018. <https://english.nctv.nl/binaries/def-a5-nctvjihadismuk-03-lr-tcm32-83910.pdf>.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიში. თბილისი, 2018.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, იანვარი 4, 2018. მოძიებული იანვარი 24, 2018. <http://ssg.gov.ge/news/306/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsax-uris-gancxadeba>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. თბილისი, 2016. მოძიებული მარტი 1, 2018. [http://geo-stat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/population/Census%20Release\\_GEO\\_2016.pdf](http://geo-stat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf)

Boumaiza, Petra. “Labor-Market Oriented Exit-Support Work to Combat Right-Wing Extremism: the XENOS Special Program, “Exit to Enter” (Ausstieg zum Einstieg).” In *Right-Wing Extremism in Europe: Country Analyses, Counter Strategies and Labour-Market Oriented Exit Strategies*, edited by Ralf Melzer and Sebastian Serafi, 306-325. Berlin: Druck- und Verlagshaus Zarbock GmbH & Co. KG, 2013). <http://library.fes.de/pdf-files/dialog/10031.pdf>.

Cobiella, Kelly. “Denmark De-Radicalization Program Aims to Reintegrate, Not Condemn.” NBC News, May 24, 2015. Accessed March 11, 2018. <https://www.nbcnews.com/storyline/isis-terror/denmark-de-radicalization-n355346>.

Horgan, John, and Kurt Braddock. “Rehabilitating the Terrorists?: Challenges in Assessing the Effectiveness of De-radicalization Programs.” *Terrorism and Political Violence* 22, no.2 (March 2010): 267-291. <https://pdfs.semanticscholar.org/d4f4/d9a663a2a9bf1a7f02dfd2cd87bea22a8f22.pdf>.

International Centre for the Study of Radicalization and Political Violence. London, 2015. Quoted in Radio Free Europe, Radio Liberty, <https://www.rferl.org/a/foreign-fighters-syria-iraq-is-isis-isil-infographic/26584940.html>.

Ranstorp, Magnus. *The Root Causes of Violent Extremism*. Amsterdam: Radicalisation Awareness Network, 2016.

Romaniuk, Peter. *Does CVE Work? Lessons Learned from the Global Effort to Counter Violent Extremism*. Global Center on Cooperative Security (2015). <http://www.globalcenter.org/wp-content/uploads/2015/09/Does-CVE-Work-2015.pdf>.

U.S. Department of State, Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism. *Country Reports on Terrorism 2016, Chapter 2. Country Reports: Europe*. Washington, D.C., 2017. <https://www.state.gov/j/ct/rls/crt/2016/272231.htm>.